

## ცნობები არსებითი ფაქტის (მოვლენის) შესახებ

### ცნობები სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებების შესახებ

სააქციო საზოგადოება „თელასი“ გაცნობებთ, რომ შედგა საზოგადოების აქციონერთა საერთო კრება. საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების ოქმი შედგენილ იქნა 2016 წლის 21 ოქტომბერს.

ჩატარების ფორმა:	ერთობლივი დასწრება
ჩატარების ადგილი:	თბილისი, ვანის ქ. 3.
ჩატარების თარიღი:	2016 წლის 21 ოქტომბერი
ჩატარების დრო:	09სთ. 30 წთ.
საერთო კრების კვორუმი:	ხმის უფლების მქონე აქციათა 99,637%

### აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:

საკითხი 1. სს „თელასი“-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

I. დღის წესრიგის პირველ საკითხზე:

გადაწყვეტილების პროექტი:

«შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები სს „თელასის“ წესდებაში:

წესდების მე-12 მუხლის მე-12.1 პუნქტის 27-ე ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27) საზოგადოების საშტატო განრიგის წინასწარი მოწონება, საზოგადოების საშტატო რიცხოვნობის გაზრდის შემთხვევაში, ასევე საზოგადოების საშტატო განრიგის წინასწარი მოწონება, იმ ცვლილებების შემთხვევაში, რომლებიც შეეხება ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოსადმი პირდაპირ დაქვემდებარებულ ხელმძღვანელებს, ფილიალების და სხვა განცალკევებული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს“.

2. დაევალოს საზოგადოების გენერალურ დირექტორს უზრუნველყოს საზოგადოების წესდებაში სახელმწიფო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანის ღონისძიებების გატარება, კანონით დადგენილი წესით, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან 1 თვის განმავლობაში.-

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე“: კრებაზე დამსწრე აქციათა 100%; „წინააღმდეგი“: „0“. „თავი შეიკავა“: „0“.

გადაწყვეტილება მიღებულია.